

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English



პროექტს აფინანსებს ევროკავშირი
Project is funded by the European Union

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა: ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

1. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის კონვერგენციის საფუძვლები

საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარების შემდეგ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი ევროკავშირთან დაახლოება და საბოლოოდ, მასში გაწევრიანება გახდა. 1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან. 1999 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირთან პარტიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, რამაც განსაზღვრა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები. 2006 წელს მიღებულ იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლობის სტრატეგიასა და პრიორიტეტულ მიმართულებებს 2013 წლამდე. 2010 წელს დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს ასოციირების შესახებ შეთანხმებაზე, რომელიც 2013 წლის მარტში დასრულდა; ამავე წლის ნოემბრის დასასრულს კი, ვილნიუსში (ლიტვა), აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე, მოხდა ასოციირების შეთანხმების ინიცირება პარაფირების სახით. შეთანხმება ძალაში შევა საქართველოს და ევროკავშირის 28 წევრი-სახელმწიფოს მიერ მისი ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ.

ასოციირების შეთანხმება ადგენს შემდგომი ორმხრივი ურთიერთობების პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებებს. იგი ერთგვარი ჩარჩო ხელშეკრულებაა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში, ქვეყანას ამზადებს ევროკავშირის წევრობისათვის; სხვა სიტყვებით, ინსტიტუციურად და ფორმალურად, ასოციირების შესახებ შეთანხმება არ წარმოადგენს წევრობის წინაპირობას, თუმცა არც გამორიცხავს მას.

ასოციირების ხელშეკრულება ევროკავშირის ძირითადი ინსტრუმენტია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან მაქსიმალურად დაახლოებისათვის. მისი ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მიიღოს ევროკავშირის მთელი რიგი სამართლებრივი აქტები ვაჭრობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თუ გარემოს დაცვის ნორმების შესახებ.

2. ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველო, შეთანხმებით, იღებს ვალდებულებას, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მთელ რიგ დირექტივებთან, მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში. თუმცა, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაახლოების პროცესი ევროკავშირის კანონმდებლობასთან უკვე დაწყებულია, იკვეთება მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც აბრკოლებს ამ მიმართულებით მუშაობას. კერძოდ:

- არ არსებობს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და საზოგადოების თანამონაწილეობის მექანიზმები;
- გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს არ აქვთ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის პროცესის სიღრმისეული ცოდნა;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში ჩაბმულ მხარეებს შორის არ მიმდინარეობს თანამშრომლობა და რეგულარული დიალოგი;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანისათვის არ არის შემუშავებული პრიორიტეტული მიმართულებები.

კანონმდებლობის დაახლოებისათვის ღონისძიებების გასატარებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, პროცესში ჩართულ ყველა მხარეს ჰქონდეს ნათელი

წარმოდგენა არსებულ მდგომარეობაზე. ამდენად, მწვანე ალტერნატივამ გადაწყვიტა, შეესწავლა საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მდგომარეობა, ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ერთი მიმართულებით - ესაა ე.წ. ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა¹. ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც თანაბრად ეხება გარემოს სხვადასხვა ელემენტის (მაგ., წყლის, ჰაერის, ნიადაგის) მარეგულირებელ კანონმდებლობას. ამრიგად, ჰორიზონტული კანონმდებლობა არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი სექტორით, არამედ მოიცავს მთელ რიგ გარემოსდაცვით საკითხებს და ამიტომ, მას ხშირად „გამჭოლ კანონმდებლობასაც“ უწოდებენ. სექტორული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ჰორიზონტული კანონმდებლობა პროცედურული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და გადაწყვეტილების პროცესის გაუმჯობესებას.

ევროკავშირის ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა აერთიანებს ხუთ დირექტივას. ესენია:

- დირექტივა გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (2003/4/EC დირექტივა);
- დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (85/337/EEC დირექტივა);
- დირექტივა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ (2001/42/EC დირექტივა);
- დირექტივა საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში (2003/35/EC დირექტივა);
- დირექტივა ანგარიშების შესახებ (91/692/EEC დირექტივა).

წარმოდგენილ ნარკვევში მოკლედაა მიმოხილული სწორედ ამ ხუთ დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის მდგომარეობა და წარმოდგენილია რეკომენდაციები შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ეს ნარკვევი ეყრდნობა დეტალურ კვლევას, რომელიც მწვანე ალტერნატივამ 2013 წელს ჩაატარა².

3. შესაბამისობის მდგომარეობის მიმოხილვა

გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ანალიზმა აჩვენა, რომ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივით რეგულირებულ საკითხებში საქართველოს კანონმდებლობა დიდწილად შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს.

ასე, მაგალითად, საჯარო სამსახურის მიერ განმცხადებლისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების სამართლებრივი რეგულირება შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის დირექტივაში მოცემულ მოთხოვნებს. კერძოდ, ევროკავშირის დირექტივას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემული მოთხოვნები განმცხადებლისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვადებისა და მიწოდების ფორმატის შესახებ, აგრეთვე განმცხადებლის ინფორმირება საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის თაობაზე. გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების საფასურზე ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებს შეესაბამება.

რაც შეეხება შეუსაბამობებს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ის, რომ არც საქართველოში მოქმედი კანონები და არც კანონქვემდებარე აქტები არ მოიცავენ „გარემოსდაცვითი ინფორმაციის“ განმარტებას. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი განმარტება მოცემულია ორჰუსის კონვენციაში (საქართველოში ძალაშია 2001 წლიდან), აღნიშნული გარემოება ქმნის გარკვეულ დაბრკოლებებს. კერძოდ, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი უწყება რა საჯარო გარემოსდაცვითი ინფორმაციას უნდა ფლობდეს და ავრცელებდეს. ამიტომ, შესაძლებელია დაინტერესებულ პირს გაუჭირდეს ამა თუ იმ სახის საჯარო გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიება. მიზანშეწონილი იქნება, კანონმდებლობაში ნათლად განისაზღვროს, თუ რა არის „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ და ამგვარი ინფორმაცია როგორაა განაწილებული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის.

მეორე პრობლემური საკითხია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა განმცხადებლისთვის ინფორმაციის არადამაკმაყოფილებლად მიწოდების შემთხვევაში. იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ საჯარო უწყების მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის არადამაკმაყოფილებლად მიწოდების შემთხვევაში, ინფორმაციის მომთხოველს პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს, არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებიც გადახედვას საჭიროებენ. მაგალითად, სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის აუცილებლობა. აგრეთვე, სასამართლო დავების ხანგრძლივობა და მათი ხარჯი მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით.

ამ სფეროში კანონმდებლობის კონვერგენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ აღსრულებას ხელს შეუწყობდა: (ა) სახელმწიფო ორგანოთა, განსაკუთრებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებისა და პროაქტიული გამოქვეყნებისთვის; (ბ) სახელმწიფო მოხელეთა ტრენინგი ინფორმაციის კომუნიკაციის ფორმებში.

¹ შეთანხმების სხვა მიმართულებებია (იგულისხმება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში): ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის, წყალდიდობის რისკების მართვა, წყლის რესურსების სიმჭირ და გვალვა, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, მათ შორის, ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა, საწარმოების მიერ გარემოს დაბინძურება, ქიმიური ნივთიერებების მართვა, კლიმატის ცვლილება.

² მწვანე ალტერნატივა, 2013. „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება: ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“. ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე: www.greenalt.org

გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს კანონმდებლობა დიდწილად არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების შესახებ დირექტივის მოთხოვნებს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპებს, მაშინ როდესაც ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგაა შესაძლებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იმ საქმიანობათა ნუსხა, რომლებიც საჭიროებენ სავალდებულო გზმ-ს ასევე არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივით დადგენილ საქმიანობათა ჩამონათვალს. უკანასკნელ წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ნუსხა აღარ შეიცავს მთელ რიგ საქმიანობებს, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებს იმ საქმიანობების ინდივიდუალური განხილვის შესაძლებლობას, რომლებიც არ არიან მოქცეული ნუსხაში, თუმცა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინონ გარემოზე. ამასთან, ევროკავშირის დირექტივისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს, საჭიროებს, თუ არა საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას.

საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია საქმიანობის გათავისუფლება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან. ამგვარი დებულება ევროკავშირის დირექტივაშიცაა, თუმცა განხვავება იმაშია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ეს განმარტება მეტად ზოგადია და თავისუფალი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა; ასევე, ევროკავშირის დირექტივისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა გამორიცხავს საზოგადოების დროული ინფორმირების და მონაწილეობის შესაძლებლობას ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას.

ევროკავშირის დირექტივა ადგენს, რომ გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამასთან, საზოგადოებასთან კონსულტაციები, გზმ-ის ჩატარების სხვადასხვა ეტაპზე უნდა იყოს შესაძლებელი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ევროკავშირის დირექტივისგან განსხვავებით, შეუძლებელია საზოგადოების დროული და სრულფასოვანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ამ საკითხზე დამატებით იხ. ასევე განმარტებები ქვემოთ).

ევროკავშირის დირექტივა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებას გარემოზე ტრანსპარენტად ზემოქმედების არსებობის შემთხვევაში. საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს ამ საკითხს და ამგვარად არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივაში მოცემულ მოთხოვნებს.

ამ სფეროში კანონმდებლობის კონვერგენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ აღსრულებას ხელს შეუწყობდა: (ა) სახელმძღვანელოების მომზადება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ეტაპებისთვის (სკრინინგის ეტაპი, სკოპინგის ეტაპი და ა.შ.); (ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების სექტორული სახელმძღვანელოების მომზადება; (გ) კანონდასრულების კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანოს/ დანაყოფების შესაძლებლობების გაძლიერება, ზოგადად და კონკრეტულად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების შესახებ, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების შემდგომი მონიტორინგისა და კონტროლის საკითხებზე.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების პროცესის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა საერთოდ არ შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის დირექტივას. ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარებას სხვადასხვა გეგმის, პროგრამისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავებისას. შესაბამისად, არ რეგულირდება ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობაც.

ამ სფეროში კანონმდებლობის კონვერგენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ აღსრულებას ხელს შეუწყობდა: (ა) სახელმძღვანელოების მომზადება სახელმწიფო მოხელეებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის; (ბ) სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პილოტური პროექტების განხორციელება სხვადასხვა სახის გეგმებისა და პროგრამებისთვის.

საზოგადოების მონაწილეობა

საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისას საზოგადოების მონაწილეობის შესახებ დირექტივის მოთხოვნებს. პრინციპებისა და გაცხადებული დებულებების თვალსაზრისით, საქართველოს კანონმდებლობაში საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებისას აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ძირითადი გარემოსდაცვითი პრინციპი. თუმცა, დეკლარირებული პრინციპი არ აისახება კონკრეტულ პროცედურებში.

კანონმდებლობა მოიცავს არაერთ სამართლებრივ ნორმას, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; მათ შორის, აღსანიშნავია შემდეგი: ნებართვებისა და ლიცენზიების უმრავლესობა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რაც გამორიცხავს საზოგადოების ინფორმირებას და აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გზმ ანგარიშის შედგენისას (ანუ, ადმინისტრაციული ორგანოს „გარეთ“) ევალება საქმიანობის განმარტაციულ დოკუმენტს. ეს კი არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობაში გაცხადებულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა სახელმწიფო უწყების პრეროგატივაა და არა რომელიმე კერძო პირის; საქართველოს კანონმდებლობაში დეკლარირებული ძირითადი პრინციპების შესრულების ვალდებულება საზოგადოების წინაშე აკისრია სწორედ სახელმწიფო ორგანოს და არა რომელიმე ინვესტორს.

საქართველოს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, ევროკავშირისგან განსხვავებით, საზოგადოების წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება, მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილი გადაწყვეტილების შესახებ და შესაბამისად, უშუალოდ მიმართონ გადაწყვეტილების მიმღებ უწყებას და გააცნონ მას თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები.

ამ სფეროში კანონმდებლობის კონვერგენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ აღსრულებას ხელს შეუწყობდა საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის სახელმძღვანელოს მომზადება (სახელმწიფო მოხელეთათვის და პროექტების ინიციატორებისთვის).

ანგარიშგების პროცედურები და მოთხოვნები

ევროკავშირის კანონმდებლობაში ანგარიშგების პრინციპი ერთ-ერთი უმთავრესია. ევროკავშირის ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განსაზღვრავს ანგარიშგების მოთხოვნებს სექტორული გარემოსდაცვითი დირექტივების შესრულების თვალსაზრისით. მსგავსი ვალდებულება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს და ამდენად ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. გარდა იმისა, რომ კანონმდებლობა არ არეგულირებს ანგარიშგების პროცედურებს, როგორც კვლევამ აჩვენა, პრაქტიკულ დონეზე, შეიმჩნევა შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის ნაკლებობა, პოლიტიკურ დონეზე კი - ეფექტური ანგარიშგების პრაქტიკის მნიშვნელობა არ არის სრულად გაცნობიერებული.

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2013

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG